ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენების მონიტორინგის შედეგები

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები

15 მაისი, 2008 წ. **თბილისი, საქართველო**

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" ახორციელებს საარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მონიტორინგს. მონიტორინგი დაიწყო 21 მარტიდან, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება საპარლამენტო არჩევნების 2008 წლის 21 მაისს დანიშვნის შესახებ.

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მონიტორინგი ყურადღებას ამახვილებს ხუთი ტიპის ადმინისტრაციულ რესურსზე. ესენია: სამართლებრივი, ინსტიტუციონალური, ფინანსური, მედია და ე.წ. ხისტი (ძალოვანი) რესურსები.

მონიტორინგის პროცესში აქცენტი კვლავ მმართველ პარტიაზე და მის მაჟორიტარ კანდიდატებზე კეთდება, რადგან ადმინისტრაციულ რესურსებზე ხელი, როგორც წესი, სწორედ მმართველ პოლიტიკურ ძალას მიუწვდება. შეფასების კრიტერიუმად ისევ აღებულია არა მხოლოდ კანონდარღვევები, არამედ ის, თუ რამდენად თანაბარ პირობებშია ჩაყენებული მმართველი პარტია სხვა საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებაში და რამდენად უწყობს ხელისუფლება ხელს კონკურენტული წინასაარჩევნო გარემოს შექმნას.

ამ ეტაპზე მონიტორინგის შედეგად შემდეგი ძირითადი ტენდენციები და დარღვევები გამოიკვეთა:

სამართლებრივი რესურსები

გადაწყვეტილების მიმღები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გამოყენება ერთი კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ (კანონმდებლობის შეცვლა – მისი მმართველი პარტიის ან კანდიდატის ინტერესებზე მორგება, საარჩევნო კომისიის წევრებზე გავლენის მოხდენა, კანონმდებლობის არასწორად ინტერპრეტაცია და ა.შ.)

მაჟორიტარული სისტემა

2008 წლის 28 იანვარს ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა და მათ მიერ დასახელებულმა პრეზიდენტობის კანდიდატებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი მემორანდუმი, რომელიც იმავდროულად იყო მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძისადმი, აგრეთვე მსოფლიოს მთავრობებისა და საერთაშორისო

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ორგანიზაციებისადმი. მემორანდუმი მოიცავდა ჩვიდმეტ საკითხს, რომელთა მოგვარება, ოპოზიციის აზრით, აუცილებელი იყო ქვეყანაში წარმოქმნილი პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვისათვის. მემორანდუმის ჩვიდმეტი პუნქტიდან ერთ-ერთი გულისხმობდა არსებული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის (როდესაც პირველ ადგილზე გასული პარტია ყველა მანდატს ეუფლებოდა) შეცვლას რეგიონული მრავალმანდატიანი სისტემით, რომლითაც მანდატები პროპორციულად განაწილდებოდა.

14 თებერვალს მმართველმა პარტიამ გამოაქვეყნა საპასუხო დოკუმენტი, რომელიც ოპოზიციის ჩვიდმეტ მოთხოვნებზე მმართველი პარტიის პასუხებს მოიცავდა. დოკუმენტი იწყებოდა შემდეგი ფრაზით: „აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ხელისუფლების მხრიდან კომპრომისს ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დასმულ ყველა საკვანძო საკითხზე". რაც შეეხება საარჩევნო სისტემის რეფორმას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა შეიცვლება რეგიონული პროპორციული სისტემით ეუთო-ს ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად. ამ მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი უკვე ინიცირებულია და შესაბამისი ცვლილებები კონსენსუსის შემთხვევაში განხორციელდება მარტის ბოლომდე".

მიუხედავად ამ საკითხში მმართველი პარტიის დათმობისა, ოპოზიციამ განაგრძო საპროტესტო აქციების გამართვა და მოითხოვა, რომ ხელისუფლებას მემორანდუმში ჩამოთვლილი სხვა საკითხებიც გადაეჭრა.

4 მარტს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილება, რომლის თანახმად, 150 პარლამენტის წევრიდან 75 აირჩეოდა მაჟორიტარულ ოლქებში, ხოლო 75 – პარტიული სიებით. ოპოზიციას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. 21 მარტს პარლამენტმა საბოლოოდ დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის შედეგად მაჟორიტარულმა სისტემამ ტრანსფორმაცია განიცადა და დადგინდა, რომ 75 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი თითო პარლამენტის წევრს აირჩევს (სწორედ ეს სისტემა მოქმედებდა საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან). გამარჯვებულად გამოცხადდება ის მაჟორიტარი კანდიდატი, რომელიც სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას დააგროვებს და იმავდროულად ხმების 30%-ს ან მეტს მიიღებს.

საკუთარი მემორანდუმიდან გადახვევა მმართველმა პარტიამ იმით ახსნა, რომ მას არ ჰქონდა ხმების საკმარისი რაოდენობა კონსტიტუციის შესაცვლელად და, ამდენად, კენჭისყრისას ოპოზიციონერი ან მაჟორიტარი პარლამენტის წევრების მხარდაჭერა სჭირდებოდა. ვინაიდან ოპოზიციამ პროცესს ბოიკოტი გამოუცხადა, მმართველ პარტიას მაჟორიტარების მხარდაჭერა უნდა მოპოვებინა, ისინი კი ერთმანდატიანი ოლქების სისტემას ამჯობინებდნენ, რომლის მეშვეობითაც თავად იქნენ არჩეულნი პარლამენტში. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2005 წელს იმავე მაჟორიტარებმა მხარი დაუჭირეს ერთმანდატიანი სისტემის შეცვლას[1].

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო ცვლილების დამტკიცებას ერთთვიანი საჯარო განხილვა უნდა უძღოდეს, რაც კანონპროექტის გამოქვეყნებას და სხვადასხვა სახის საჯარო დისკუსიას გულისხმობს. მმართველი პარტიის მტკიცებით,

[1] 2005 წელს მმართველმა პარტიამ მხარი დაუჭირა საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს, რომელთა თანახმად გაუქმდა 85 ერთმანდატიანი ოლქი (მათ შორის, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში მდებარე 10 ოლქი) და მათ ნაცვლად შეიქმნა 50 მრავალმანდატიანი ოლქი.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

კენჭისყრამდე დისკუსია ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, რადგანაც საკონსტიტუციო ცვლილება 150 საპარლამენტო მანდატის განაწილების თაობაზე 13 ნოემბერს იქნა ინიცირებული. თუმცა 13 ნოემბერს ინიცირებული პროექტში აღნიშნული იყო, რომ 100 პარლამენტის წევრი პროპორციული სისტემით, ხოლო 50 – მაჟორიტარულ ოლქებში აირჩეოდა. ამასთანავე, ცვლილების პროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამი იყო, რომ მაჟორიტარული მანდატების განაწილების უფრო სამართლიანი მეთოდი რეგიონული პროპორციული სისტემა იქნებოდა.

სისტემას „75–75" კენჭი ინიცირების დღესვე ეყარა. ამ სისტემის თანახმად, 75 ოლქიდან თითოეულს ეყოლება თითო მაჟორიტარი დეპუტატი. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ოლქები საქართველოში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით არ იქმნება. ოლქები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან ზომის მხრივ, რაც საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება. მაგალითად, ლენტეხის ოლქში 6115 ამომრჩეველია, ხოლო ზუგდიდის ოლქში – 126 106 (თითქმის ოცჯერ მეტი). არსებული სისტემით ორივე ოლქს თითო მაჟორიტარი ეყოლება.

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შეფასებისას ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები და სადამკვირვებლო მისიები წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას ასახელებდნენ. 5 თებერვალს ოთხმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ („ახალი თაობა – ახალი ინიციატივა", „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო", „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია") ხელი მოაწერა ერთობლივ მემორანდუმს „ათი წინაპირობა საქართველოში სამართლიანი და თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად". ამ წინაპირობათა შორის იყო საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწა იმ კუთხით, რომ გამორიცხულიყო წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და საარჩევნო სუბიექტებს მისცემოდათ საშუალება, წინასაარჩევნო კამპანია კონკურენტულ გარემოში ეწარემოებინათ.

დამკვირვებელი ორგანიზაციები პარლამენტს კონკრეტულ რეკომენდაციებსაც სთავაზობდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლებოდა ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების შეზღუდვის უფრო ეფექტურად დარეგულირება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" მხარს უჭერდა: (ა) იმ პირთა წრის შეზღუდვას, ვიზეც წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევაზე შეზღუდვები არ ვრცელდებოდა და ამ უფლების მხოლოდ არჩეული და პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის დატოვებას, (ბ) საარჩევნო კანონმდებლობაში იმის დაკონკრეტებას, რომ საჯარო მოხელეებს ეკრძალებოდათ არა მხოლოდ საარჩევნო აგიტაციის გაწევა (ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტების მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ) არამედ ზოგადად წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა (საარჩევნო სუბიექტების მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა) და (გ) სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსებული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ნებისმიერი სახით და ნებისმიერი საარჩევნო სუბიექტისა და საჯარო მოხელის მიერ აკრძალვას.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ამ და სხვა რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ მმართველმა პარტიამ საარჩევნო კანონმდებლობა არათუ გაამკაცრა, არამედ უფრო ლიბერალური გახადა – არსებული კანონმდებლობით საჯარო მოხელეებს კვლავ აქვთ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის უფლება (მცირე გამონაკლისების გარდა). საარჩევნო სუბიექტებს კი შეუძლიათ საჯარო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებიც გამოიყენონ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს რესურსები ყველა სუბიექტისთვის თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი.

გარდა ამისა, კანონმდებლობაში კვლავ დარჩა ბუნდოვანი დებულებები. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ოთხ ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციასთან ერთად[2], შეიმუშავა კანონის განმარტებები, რომელიც ერთობლივი მემორანდუმის სახით გაფორმდა[3]. ამ მემორანდუმით მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, თუ როგორ მოახდენდნენ საარჩევნო პროცესში კანონის ბუნდოვანი დებულებების ინტერპრეტაციას. მემორანდუმის საფუძველზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოამზადა ბროშურები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის, რათა მათთვის მიეწოდებინა ინფორმაცია ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენებაზე არსებული წესების და შეზღუდვების შესახებ.

მმართველი პარტიის პარტიული სიის რეგისტრაცია

2008 წლის 21 აპრილს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განვითარებულმა მოვლენებმა უარყოფითად იმოქმედა ცენტრალური საარჩევნო კომისიის და ზოგადად, საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულებაზე. ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' პარტიული სია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სიების წარდგენის ვადის გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე მიიტანა. კომისიის ოპოზიციონერ წარმომადგენლებს ამ სიების ნახვის შესაძლებლობა იმ საღამოს არ მიეცათ. როგორც მათ განუმარტეს, სიები კანცელარიაში ინახებოდა, კანცელარია კი საღამოს 6 საათზე დაიკეტა და მეორე დილამდე არ გაიღებოდა.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ მმართველმა პარტიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არასრული (არასაბოლოო) სია წარადგინა და მოგვიანებით მის გამოცვლას აპირებდა. ამ ეჭვს იწვევდა ის გარემოება, რომ იმავე დღის დაახლოებით ექვ საათზე პარლამენტის თავმჯდომარემ და მმართველი პარტიის სიის პირველმა ნომერმა ნინო ბურჯანაძემ პირდაპირ ეთერში გააკეთა განცხადება, რომ ის აღარ აპირებდა არჩევნებში მონაწილეობას. როგორც მან აღნიშნა, ამის მიზეზი ის იყო, რომ მასსა და პარტიის სხვა წარმომადგენლებს შორის ვერ მოხერხდა შეთანხმება სიის დაკომპლექტებაზე. შედეგად, სიას გამოაკლდა ნინო ბურჯანაძის კვოტით ჩასმული რამდენიმე სხვა წევრიც.

ვინაიდან ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოპოზიციონერ წევრებს მმართველი პარტიის მიერ წარდგენილი სიის ნახვის საშუალება წარდგენის დღეს არ მიეცათ, მათ გადაწყვიტეს, რომ ღამე ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაში გაეტარებინათ და

[3] არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მემორანდუმს ხელი 2008 წლის 17 აპრილს მოაწერეს.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

გაეკონტროლებინათ, რომ შენობაში ღამით ახალი, გამოცვლილი სია არ შეეტანათ[4]. კომისიის წევრების გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაში ამ დროისთვის მივიდნენ ოპოზიციური პარტიების სხვა წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციებიც. მათ ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს სთხოვეს, ეთქვა მათთვის, თუ რომელ ოთახში ინახებოდა მმართველი პარტიის სია. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმ ოთახთან განთავსდნენ, რომელზეც მათ კომისიის თავმჯდომარემ მიუთითა, თუმცა გვიან ღამით, ორი საათის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სია სხვა ოთახში ინახებოდა. დამკვირვებელ ორგანიზაციებს ამჯერად მიეცათ მისი ნახვის საშუალება. როგორც მათ აღნიშნეს, სიაზე ლუქი დაზიანებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შენობის გარეთაც იმყოფებოდნენ და თუ ვინმე შენობაში ახალ სიას შეიტანდა, მათ, სავარაუდოდ, ამის დანახვის შესაძლებლობა ექნებოდათ, იმ ფაქტებმა, რომ (ა) ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოპოზიციონერ წევრებს თავიდანვე არ მიეცათ სიის ნახვის საშუალება და (ბ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მოგვიანებით არასამთავრობო ორგანიზაციებს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სიის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით, ამ სიის გარშემო არსებული ეჭვები კიდევ უფრო გაამძაფრა.

სასამართლო განხილვები

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების დანიშვნის დღიდან აკრძალულია საარჩევნო სუბიექტების და მათი წარმომადგენლების მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის ფულადი სახსრების, საჩუქრების, სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა; შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება და მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით.

საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როცა მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატები მოქალაქეებს სხვადასხვა სახის საჩუქრებს, მათ შორის, სუვენირებს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას, საკვებ პროდუქტებს და სხვა სახის საქონელს უფასოდ გადასცემდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევების უმეტესობა მაჟორიტარი კანდიდატების საარჩევნო კომისიაში ოფიციალურ რეგისტრაციამდე მოხდა, მსგავს ღონისძიებებში ჩართული კანდიდატები მმართველ პარტიას საზოგადოებისთვის უკვე წარდგენილი ჰყავდა, როგორც მისი მაჟორიტარი კანდიდატები კონკრეტულ საარჩევნო ოლქებში.

აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირების მიზნით ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ'' სარჩელით მიმართა სასამართლოს. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. დასაბუთების ნაწილში სასამართლოს ერთ-ერთი არგუმენტი იყო ის, რომ მცირე ღირებულების მქონე საჩუქრებისა თუ სუვენირების გადაცემა, არ წარმოადგენდა კანონით აკრძალულ საქმიანობას. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მატერიალური ფასეულობების გადაცემა აკრძალულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქმედების მიზანია ამომრჩევლებისაგან ხმების მიღება. სასამართლომ ჩათვალა,

[4] ოპოზიციურ პარტიებს ჰქონდათ ეჭვი, რომ მმართველი პარტიის მიერ ცესკოში წარდგენილ სიებში ნინო ბურჯანაძე და მისი გუნდის წარმომადგენლები კვლავ ფიგურირებდნენ.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

რომ ბავშვებისათვის, რომლებსაც არჩევნების დროს არ გააჩნიათ ხმის მიცემის უფლება, მცირე ღირებულების მქონე სუვენირების გადაცემა ან მათი კინოთეატრში დაპატიჟება არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ხმების მოპოვების მცდელობად.

ამ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ საარჩევნო კოდექსი კრძალავს წინასაარჩევნო პერიოდში ნებისმიერი სახის მატერიალური ფასეულობების გადაცემას არა კონკრეტულად ამომრჩევლებისთვის, არამედ ზოგადად საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთა რიცხვს, ბუნებრივია ბავშვებიც განეკუთვნებიან. გარდა ამისა, კოდექსი არ განასხვავებს მცირე და მაღალი ღირებულების მქონე საჩუქრებს. კანონმდებლობით დასჯადია თავად ქმედება – მატერიალური ფასეულობების გადაცემა და მისი დადასტურების შემთხვევაში, საარჩევნო სუბიექტი უნდა მოიხსნას რეგისტრაციიდან. შესაძლებელია, არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამართულია კანონის დღეს არსებული ფორმულირება ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა მანამ, სანამ ეს ფორმულირება დაიხვეწება, მაჟორიტარ კანდიდატებს, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოს წევრები გახდებიან, მოეთხოვებათ, რომ პატივს სცემდნენ არსებულ კანონმდებლობას და ზედმიწევნით ასრულებდნენ მას.

ინსტიტუციონალური რესურსები

საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებისთვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოსამსახურეების და სახელმწიფოს თანხებით დაფინანსებული სხვა მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენება

მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა გუბერნატორების მიერ

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურია, წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეების მონაწილეობასთან მიმართებაში, ის გარკვეულ შეზღუდვებს მაინც აწესებს ცალკეულ საჯარო მოხელეებზე, კერძოდ, ადგილობრივი და სახელმწიფო თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებზე. მათ ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროს. ეს შეზღუდვა ვრცელდება გუბერნატორებზეც, თუმცა თითქმის ყველა რეგიონში მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა სწორედ გუბერნატორების მიერ მოხდა როგორც სამსახურისგან თავისუფალ დროს, ისე სამუშაო საათებშიც.

გორში მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატი გუბერნატორმა მედიის წარმომადგენლებს თავის სამუშაო ოთახში წარუდგინა სამუშაო საათებში, ხაშურში და ქარელში – გამგეობების შენობებში. წარდგენებს თან სდევდა გუბერნატორის საუბრები პრეზიდენტისა და მთავრობის 50 დღიან პროგრამასა და ხელისუფლების სამომავლო გეგმების შესახებ. სხვა რეგიონებში მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა გუბერნატორების მიერ ასევე სამუშაო საათებში, მაგრამ არა სამთავრობო დაწესებულებებში მოხდა (მმართველი პარტიის რეგიონულ ოფისებში, თეატრებში, კინოთეატრებში და ა.შ.).

განსხვავებით რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისგან, როცა მმართველი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდასაჭერ კამპანიაში თითქმის მთელი სამთავრობო აპარატი აქტიურად იყო ჩართული, საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

განსაკუთრებული აქტიურობით მეტწილად გუბერნატორები გამოირჩევიან. დანარჩენი მოხელეები შედარებით ნაკლებად ჩანან.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებათა განხორციელებაში და პრეზენტაციებზე

წინასაარჩევნო პერიოდში ადგილი აქვს მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატების აქტიურ მონაწილეობას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა ღონისძიებებში და გახსნის ცერემონიალებზე, სადაც ისინი ეცნობიან ამომრჩევლებს და წინასაარჩევნო დაპირებებსაც იძლევიან. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია ქ. თბილისში, ვინაიდან დედაქალაქში მსგავს ღონისძიებებზე ყველაზე მეტი საბიუჯეტო სახსრები იხარჯება როგორც სახელმწიფო, ასევე დედაქალაქის ბიუჯეტიდან.

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი მელაძე 19 აპრილს პეკინის ქუჩის №13-ს ესტუმრა და პატარებთან ერთად საბავშო სკვერისა და ფეხბურთის სტადიონისთვის ადგილი შეარჩია[5]. მანვე ვაშლიჯვრის დასახლების მე-10 კორპუსის გადახურვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა და აღნიშნა, რომ მერიამ გაითვალისწინა კორპუსის მოსახლეობის თხოვნა პრობლემის მოგვარების თაობაზე და სამუშაოები დაიწყო. იგი ამ დროს ქ. თბილისის მერის მოადგილე იყო, თუმცა ამავდროულად აქტიურად ეწეოდა წინასაარჩევნო კამპანიას, როგორც სახელისუფლებო პარტიის მაჟორიტარი კანდიდატი.

თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისა და სამგორის რაიონის მმართველი პარტის მაჟორიტარი კანდიდატის რუსუდან კერვალიშვილის ერთობლივი ინიციატივით, ვარკეთილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზო მრავალწლიანი ხე-მცენარეებითა და ბუჩქებით გამწვანდა. „წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოს გამწვანება თბილისის გამწვანების პროგრამის ფარგლებში მოხდა. ამის გარდა ვარკეთილში კიდევ ორ დიდი ობიექტი გამწვანდა. ამჯერად აქცია ქალბატონ რუსუდანთან ერთად განვახორციელეთ," – განაცხადა ილია ფალავანდიშვილმა, ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის გამწვანების განყოფილების ხელმძღვანელმა[6].

4 მაისს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა აკაკი დარასელიამ მოინახულა სამტრედიის ქუჩაზე დაწყებული წყალგაყვანილობის მოძველებული სისტემის შეცვლის სამუშაოები. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მმართველი პარტიის დიდუბის მაჟორიტარმა კანდიდატმა ლადო კვარაცხელიამაც მიიღო. აქვე მან ჟურნალისტებს მისცა ინტერვიუ, სადაც განაცხადა: „ჩვენ აქ ათიოდე დღის წინ ვიყავით მოსულები. აქაურ მაცხოვრებლებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მოძველებული წყალგაყვანილობის სისტემა. გამგეობა მათ დახმარებას დაჰპირდა. ჩვენ უბრალოდ მოვედით იმის სანახავად, შესრულდა თუ არა პირობა და ძალიან სასიამოვნოა, რომ გამგეობამ დაპირება ასე მალე პირნათლად შეასრულა"[7].

---

[5] ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდი:
http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=344&info_id=8280
[6] ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდი:
http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=344&info_id=8317
[7] ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდი: www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=344&info_id=9357

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

განათების ჩართვასთან დაკავშირებით, წყნეთს დედაქალაქის ვიცე-მერი, კეთილ-მოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი და ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ესტუმრნენ. „მიზანმიმართულად ხორციელდება ის პროგრამა, რასაც „თბილისი სინათლის ქალაქი" ჰქვია. დედაქალაქის ყველა ქუჩა, უბანი თუ მიკრორაიონი უნდა იყოს კეთილმოწყობილი, რაც თავის მხრივ გარეგანათების ქსელის რეაბილიტაციას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას და წყალკანალიზაციის გაყვანილობის მოწესრიგებას ითვალისწინებს. ეს საკითხი თბილისის ახლადშემოერთებულ ყველა ტერიტორიაზე გადაიჭრება," განაცხადა 3 მაისს მამუკა ახვლედიანმა - თბილისის ვიცე-მერმა. ამავე შეხვედრაზე წყნეთში სტუმრად მყოფი ზაზა გამცემლიძე მოსახლეობას შეხვდა და გაესაუბრა. „წყნეთში 7 წელი ვიცხოვრე და ბევრ ადამიანს ვიცნობ. მე პერმანენტულად მოვდივარ და ვხვდები მოსახლეობას. ჩემი გამარჯვების შემთხვევაში მათ კვლავ მხარში დგომას ვპირდები," განაცხადა ზაზა გამცემლიძემ – ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა სახელისუფლებო პარტიის მხრიდან[8].

ქ. თბილისის მერიის ინიციატივით, იყალთოს გორაზე მცხოვრებლებს 11 მაისიდან ახალი მარშრუტი ემსახურება. №57 ავტობუსი იყალთოს ქუჩიდან უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით იმოძრავებს. მარშრუტის გახსნას ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად საბურთალოს რაიონში მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატიც დაესწრო. „საბურთალოს ამ დასახლებაში მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარდა. დღეიდან საბურთალოელები კომფორტულად იმგზავრებენ. სტუდენტებს კი უნივერსიტეტამდე მისვლა გაუმარტივდებათ. მე რამდენიმე დღის წინ შევხვდი იყალთოს გორის მოსახლეობას და მათი უპირველესი მოთხოვნა სწორედ ახალი მარშრუტის დანიშვნა იყო. მერიამ ეს თხოვნა მოკლე დროში მოაგვარა" - განაცხადა კანდიდატმა ჟურნალისტებისთვის მიცემული ინტერვიუში[9].

სახელისუფლებო პარტიის მიერ წარდგენილმა ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა თემურ ჩარკვიანმა მიმდინარე წლის 6 აპრილს პირველი გაცნობითი შეხვედრა ბათუმის სამშობიარო სახლში გამართა. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მედიკოსებს სამომავლო გეგმებზე ესაუბრა და ბათუმის მერთან ერთად ერთ-ერთ მრავალშვილიან დედას, მერიის პროგრამის ფარგლებში, საჩუქრად 300 ლარი გადასცა[10].

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსებული მიმდინარე და დაგეგმილის პროექტების ინსპექტირება/პრეზენტაციებისას მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატების მხარდასაჭერი აგიტაციის გამართვის ფაქტები დაფიქსირდა სამეგრელოში, შიდა ქართლში, კახეთში, გურიაში, აჭარასა და თბილისის სხვა რაიონებშიც.

თბილისის მერიის ვებ-გვერდი

თბილისის მერიის პორტალის www.tbilisi.gov.ge ახალი ამბების განყოფილება თითქმის მთლიანად მხოლოდ ისეთ ამბებს აღწერს, რომლებშიც მონაწილეობას მმართველი პარტიის თბილისის მაჟორიტარი კანდიდატები იღებენ (ტექსტში დაკონკრეტებულია, რომ ეს პირები მაჟორიტარი კანდიდატები არიან). არც ერთი სხვა პოლიტიკური პარტიის მაჟორატარი კანდიდატების შეხვედრები, საქმიანობა და ინიციატივები ვებ-პორტალზე გაშუქებული არ არის.

[8] ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდი: www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=344&info_id=9329
[9] ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდი: www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=344&info_id=9734
[10] ქალაქ ბათუმის მერიის ვებ-გვერდი: http://www.batumi.ge/ge/index.php?page=shownews&id=277

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ამ პორტალის საინფორმაციო ნაწილი კიდევ ერთხელ ადასტურებს ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მმართველი პარტიის კანდიდატების მარშრუტების თითქმის სრულ თანხვედრას და კანდიდატების ასოცირებას ქალაქის თვითმმართველობების ყოველდღიურ საქმიანობასა და პროექტებთან.

ფინანსური რესურსები

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო რესურსების მიმართვა ერთი კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეწყობისთვის (წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლებისთვის ფულადი პრემიების და სხვა სახის საჩუქრების დარიგება, საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას სოციალური დახმარებებისა თუ ხელფასებისა და პენსიების წინასწარ დაუგეგმავი მატება, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე საჯარო დებატებისა და სათანადო ანალიზის ჩატარების გარეშე ამბიციური სოციალური პროექტების წამოწყება და ა.შ.)

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების წინ ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო სხვადასხვა სახის სოციალური პროექტების განხორციელება, რომელთა უმეტესი ნაწილი 2007 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო. პრეზიდენტის ინიციატივით პირველი დეკემბრიდან გაიზარდა პედაგოგების ხელფასები და პენსიები; რეგიონებში მცხოვრებ ოჯახებს დაურიგდათ შეშის ვაუჩერები და 50 კგ. ფქვილი; პედაგოგებს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებს და პენსიონერებს დაურიგდათ ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ვაუჩერები; რეგიონებში მცხოვრებ ოჯახებს დაურიგდათ საახალწლო ნობათები. აღსანიშნავია, რომ შეშის ვაუჩერებს „პრეზიდენტის საჩუქარი", ხოლო ელექტროენერგიის ვაუჩერებს „პრეზიდენტის სუბსიდია" ეწერა და ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მათი დარიგებისას საჯარო მოხელეები მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერ აგიტაციას ეწეოდნენ. რამდენიმე ქალაქში, მათ შორის თბილისში, ვაუჩერებნი მმართველი პარტიის ოფისებიდან რიგდებოდა.

საპარლამენტო არჩევნების წინაპერიოდში მსგავსი, წინასწარდაუგეგმავი, სოციალური ინიციატივების რიცხვმა იკლო, თუმცა რამდენიმე მოკლევადიან ეფექტზე გათვლილი ღონისძიება სხვადასხვა პერიოდულობით და მოცულობით კვლავ ფინანსდება სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს მთავრობამ დაიწყო ე.წ. 50 დღიანი პროგრამის – „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე (50-დღე და უახლოესი მომავლის გეგმები)" – განხორციელება. 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებისათვის 85 მლნ. ლარამდე დაიგეგმა. ამ თანხის დიდი ნაწილი უკვე ათვისებულია.

როდესაც თავდაპირველად 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მომზადდა და მისი განხილვები დაიწყო (იგულისხმება მთავრობის სხდომაზე განხილვა ნოემბრის მოვლენებამდე პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის პერიოდში), ბიუჯეტში ორი მიზნობრივი პროგრამის გარდა არც ერთი პროგრამა არ იყო გათვალისწინებული. ბიუჯეტის პროექტი მოიცავდა მხოლოდ „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭების პროგრამას" და ახალშობილზე დახმარებების პროგრამას „ღირსეული დასაწყისის" მსგავსი დახმარებების სახით. პირველი პროგრამის დაფინანსებისთვის გათვალისწინებული იყო 122 000 ლარი, ხოლო მეორისთვის – 2 400 000 ლარი. ახალი პრემიერის მეთაურობით განახლებული მთავრობის მიერ ბიუჯეტის გადამუშავების შემდგომ პირველი პროგრამის ხარჯები

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

გაიზარდა 1 982 000 ლარამდე, ხოლო მეორის ხარჯები უცვლელი დარჩა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა ბიუჯეტის სხვა პუნქტებიც. ბიუჯეტი გახდა უფრო მეტად სოციალურად ორიენტირებული. თავდაცვისა და უსაფრთხოების დაფინანსების შემცირების ხარჯზე გაიზარდა სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის ხარჯები.

პენსიების ზრდა

მას შემდეგ, რაც საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარებული პლებისციტის შედეგებით ცნობილი გახდა, რომ მოსახლეობა საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებას უჭერდა მხარს, ბიუჯეტი ისევ შეიცვალა (2008 წლის 12 მარტს). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნება 32,2 მლნ. ლარით გაიზარდა, რათა 2008 წლის 1 აპრილიდან ასაკის გამო დანიშნული პენსიის მინიმალური ოდენობის 55 ლარიდან 70 ლარამდე ზრდა დაფინანსებულიყო. ერთ-ერთ სამომავლო რეფორმად პენსიების ზრდა პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების წინაპერიოდში დაასახელა. ეს ცვლილება 653 000 ასაკოვან პენსიონერს შეეხება.

დიზელის ვაუჩერები

ასევე გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნება. სამინისტროს დამატებით გამოეყო 29,2 მლნ. ლარი, რათა 50 დღიანი პროგრამით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შეძენის პარალელურად, საგაზაფხულო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მომხდარიყო მოსახლეობისთვის დიზელის უფასოდ დარიგება. შესაბამისად, 50 დღიან პროგრამათა ნუსხას დაემატა ახალი პროგრამა „მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახების დიზელის საწვავით უზრუნველყოფის ღონისძიებები“.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უზრუნველსაყოფად დიზელის საწვავის დარიგება ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2006 წელს ერთხელ უკვე განხორციელდა. 2008 წელს ანალოგიური პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის გლეხებს უნდა მიაწოდოს 18 220 000 ლიტრი დიზელის საწვავი. ამ პროგრამის ფარგლებში 911 000 ოჯახი მიიღებს 20 ლიტრ უფასო საწვავს. შეირჩა დიზელის საწვავის მიმწოდებელი კომპანიები, ხოლო მოსახლეობას საწვავის ასაღებად ვაუჩერები დაურიგდათ. მიმდინარე ეტაპზე დიზელის საწვავის დარიგების სამუშაოები თითქმის უკვე დასრულებულია.

დიზელის საწვავის ვაუჩერების დარიგებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფდნენ, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდის მსგავსად, კვლავ ჰქონდა ადგილი შემთხვევებს, როდესაც ვაუჩერები მმართველი პარტიის ოფისებიდან გაიცემოდა (თელავში, ცაგერში, სენაკში). ასევე იყო ვაუჩერების დარიგების დროს მმართველი პარტიის მხარდასაჭერი აგიტაციის გაწევის შემთხვევებიც (ხაშურში, სენაკში, ცაგერში, გორში) რამდენიმე რაიონში ვაუჩერების დარიგებაში ჩართულები იყვნენ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებიც სახელისუფლებო პარტიის მხრიდან. მაგალითად, მიმდინარე წლის 18 აპრილს სოფელ დიღმის მოსახლეობას დიზელის მისაღები ვაუჩერები დაურიგდათ ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის და ახლადარჩეული საკრებულოს თავმჯდომარის მიერ. საბურთალოს ოლქში ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატი ამ ოლქში.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

მართალია, ის ამ პერიოდში ჯერ კიდევ ვიცე-მერი იყო, მაგრამ ის პარალელურად მმართველ პარტიას უკვე დასახელებული ჰყავდა როგორც მაჟორიტარი კანდიდატი.

დიზელის ვაუჩერების დარიგება აპრილის პირველ ნახევარში დასრულდა.

რეგიონებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური ღონისძიებების დაფინანსება

წინასაარჩევნო პერიოდში რეგიონებში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. კერძოდ, მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში მთავრობის განკარგულებით ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა საბიუჯეტო დაწესებულებებზე და მუნიციპალიტეტებზე ფულის გადაცემა შემდეგი ღონისძიებებისათვის: ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში მიმდინარე სოციალური ღონისძიებებისათვის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების დაფინანსება; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის დიზელის საწვავით უზრუნველყოფა; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა; რეგიონული მართვის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოლადაანთკარში სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე, სოფლის გაზიფიკაციაზე და პოლიციისათვის შენობის შეძენა-რეაბილიტაციაზე საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა[11].

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყო 147,5 მილიონი ლარი (თავდაპირველად განსაზღვრული იყო 60 მლნ. ლარამდე, ხოლო შემდგომ მთავრობის განკარგულებაში ცვლილებები რამდენჯერმე შევიდა და გამოსაყოფი სახსრების მოცულობა გაიზარდა) სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, მათ შორისა, ქალაქის ქუჩების კაპიტალური შეკეთება, საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია, ღვარსადენების რეაბილიტაცია-კაპიტალური შეკეთება, განათება, გაზმომარაგება, გზების შეკეთება, სპორტული კომპლექსების შეკეთება, ფასადების მოწყობა, სახურავების შეკეთება, ნაპირსამაგრი სამუშაოები და ხიდების რეაბლიტაცია, სკვერების კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და სხვა.

ცვლილებები განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებშიც (უმეტესობა მათგანში წლის დასაწყისიდან უკვე 2-3 და მეტჯერ). გაიზარდა მათი ხარჯები ინფრასტრუქტურული და სოციალური ხარჯების ნაწილში. ამ ხარჯებიდან გარკვეული ნაწილი ხმარდება ისეთი ღონისძიებების დაფინანსებას, რაც მუნიციპალიტეტის კომპეტენციას არ განეკუთვნება. მაგალითად, ქ. რუსთავის 2008 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით, 10 ათასი ლარით ფინანსდება უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ბინებში სან. ტექნიკის რეაბილიტაცია, 72 ათასი ლარით ფინანსდება

[11] საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები უნდა გამოიყოს მხოლოდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორებიცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი სახელმწიფო გადასახდელების დასაფინანსებლად („საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 13.). გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობების ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

პედაგოგთა გათავისუფლება მუნიციპალური ავტოტრანსპორტით მგზავრობისაგან, 280 ათასი ლარით ფინანსდება სკოლებისთვის ინვენტარის შეძენა. აღნიშნული ხარჯები 2008 წლის ბიუჯეტის თავდაპირველად დამტკიცებულ ვერსიაში არ იყო გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტებმა 2008 წლისთვის დაგეგმილი სოციალური და ინფრასტრუქტურული ხარჯების დიდი ნაწილი უკვე აითვისეს. ისინი ძირითადად აპრილში განხორციელდა.

ხისტი რესურსები

პოლიტიკური ოპონენტებისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ ისეთი ძალადობრივი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა ოპონენტების და მათი აქტივისტების დაშინება, დაკავება, დაპატიმრება, დარბევა და სხვ.

პოლიტიკური ზეწოლა მასწავლებლებზე

არჩევნებამდე სამი კვირით ადრე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" აკეთებდა შეფასებას, რომ განსხვავებით საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდისგან, საპარლამენტო არჩევნების წინ ამომრჩევლებზე და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებზე ზეწოლის ფაქტები იშვიათი იყო. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში სიტუაცია ამ მხრივ შეიცვალა. პოლიტიკური ზეწოლის შემთხვევებმა იმატა, განსაკუთრებით რეგიონებში. ყველაზე ხშირად ინფორმაციას ვიღებთ საჯარო სკოლების მასწავლებლებზე ზეწოლის შესახებ. ზეწოლა სამი სახით ხორციელდება: (ა) რამდენიმე რაიონში დირექტორებს მმართველი პარტიის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა დაავალეს ოპოზიციურად განწყობილი მასწავლებლების სიების შედგენა (გორში, თელავში, ახმეტაში), (ბ) ყველაზე ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებლებს მოუწოდებენ, თავი შეიკავონ ოპოზიციური პარტიების და მათი მაჟორიტარი კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობისგან და გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია მმართველი პარტიის მხარდასაჭერად (ყვარელში, დედოფლისწყაროში, დუშეთში, ყაზბეგში, ოზურგეთში, ამბროლაურში, ჩოხატაურში, ზუგდიდში, ქუთაისში, თერჯოლაში, გორში, ფოთში), (გ) რამდენიმე რაიონში მასწავლებლები დაავალდებულეს, შეეგროვებინათ მმართველი პარტიის მხარდამჭერთა ხელმოწერები და ამომრჩევლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ნომრები (ყვარელში, თელავში, გურჯაანში, გორში).

ამ ეტაპზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" რომელიმე მასწავლებლის ან სკოლის სხვა თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია.

მასწავლებლებზე ზეწოლასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გააკეთა შემდეგი შინაარის საჯარო განცხადება: „სკოლა არაპოლიტიკური დაწესებულებაა, ამდენად, რაიმე სახის პოლიტიკური ზეწოლა პედაგოგებზე, სკოლის დირექტორებსა თუ სხვა პირებზე დაუშვებელია". სამინისტროს განცხადებით, მინისტრი და მისი მოადგილეები თავად ჩადიან რეგიონებში და ხვდებიან რესურსცენტრების წარმომადგენლებს და სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს, რათა განუმარტონ მათ, რომ სკოლები დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის პოლიტიკური ზეწოლისგან. სამინისტრომ რესურსცენტრებს და სკოლებს ასევე დაუგზავნა რეკომენდაციები (სამინისტროს ცირკულარი) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი წინასაარჩევნო პერიოდში, რათა სკოლა არ იქცეს

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

რომელიმე პოლიტიკური ძალის იარაღად. სამინისტრომ ასევე გამოთქვა მზადყოფნა, რომ კონკრეტული ფაქტების მოწოდებისთანავე შეისწავლოს ისინი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

არასწორი ინფორმაციის გავრცელება ხმის მიცემის ფარულობასთან დაკავშირებით

საპრეზიდენტო არჩევნების წინ ზოგიერთ რაიონში საჯარო მოხელეები ავრცელებდნენ არასწორ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ხმის მისაცემ კაბინებში დამონტაჟებული იქნებოდა ფარული კამერები და რომ მათი საშუალებით მოხდებოდა იმის დადგენა, თუ რომელ კანდიდატს შემოხაზავდნენ ამომრჩევლები. საპარლამენტო არჩევნების წინ კამერები საარჩევნო ბიულეტენების სერიულმა ნომრებმა ჩაანაცვლა. ამჯერად ამომრჩევლებს მიეწოდებათ არასწორი ინფორმაცია (ამჯერად პარტიული აქტივისტების მიერ), რომ ბიულეტენებზე არსებული სერიული ნომრების საშუალებით მოხდება იმის იდენტიფიცირება, თუ რომელი ამომრჩეველი რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცემს ხმას.

ამ პრობლემის დასარეგულირებლად მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და ხელისუფლებამ საინფორმაციო კამპანიის წარმოების პროცესში და არჩევნებთან დაკავშირებით საჯარო განცხადებების გაკეთებისას კვლავ გაამახვილონ ყურადღება ხმის მიცემის ფარულობაზე და ამ ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებულ სანქციებზე.

ოპოზიციური პარტიების ოფისები

წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისში რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას კვლავ შეექმნა პრობლემები საარჩევნო შტაბების გახსნასთან დაკავშირებით – ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას – ხულოში, კონსერვატიულ პარტიას („ერთიანი ეროვნული საბჭო") – გლდანში, რესპუბლიკურ პარტიას – ადიგენში და ლეიბორისტულ პარტიას – მთაწმინდის რაიონში. ყველა ამ შემთხვევაში პარტიები შეთანხმებულები იყვნენ საოფისე ფართების მეპატრონეებთან ამ ფართების ქირაობაზე, მაგრამ მოგვიანებით მეპატრონეებმა უარი განაცხადეს ხელისუფლების მხრიდან წამოსული ზეწოლის გამო.. რამდენიმე სხვა შემთხვევაში ფართების მეპატრონეებმა თავიდანვე უარი თქვეს ოპოზიციურ პარტიებთან ქირავნობის ხელშეკრულებების დადებაზე, რადგან მათ არ სურდათ პრობლემები შექმნოდათ.

მიუხედავად ამ ფაქტებისა, დღეის მდგომარეობით ოპოზიციურ პარტიებს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში გახსნილი აქვთ შტაბები და ეს შტაბები აქტიურად არიან ჩართულები წინასაარჩევნო კამპანიაში.

ბიზნესებზე ზეწოლა

კერძო ბიზნესზე ზეწოლა საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ისეთი ინტენსივობით არ გამოირჩევა, როგორიც ეს 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დროს იყო. ზეწოლისა და ფულის გამოძალვის შემთხვევები აღინიშნა კახეთში, სადაც ადგილობრივი ფინანსური პოლიცია ძირითადად ღვინის, სამშენებლო და ხის მასალების მწარმოებლებს ავიწროვებს.

მწარმოებელი კომპანიების გარდა, კახეთში ზეწოლაზე საუბრობენ მაღაზიების და ვიტრინიანი დაწესებულებების მფლობელები. ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციის

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

წარმომადგენლები მათგან მოითხოვენ, მაღაზიებში და ვიტრინებში გამოაკრან მმართველი პარტიის სააგიტაციო პლაკატები და თავი შეიკავონ სხვა საარჩევნო სუბიექტების პლაკატების გაკვრისგან.

ბიზნესებზე ზეწოლის რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა ასევე თბილისში, რუსთავში, ფოთში და გორში. ბიზნესმენებმა თავი შეიკავეს უფრო დეტალური ინფორმაციის გახმოვანებისგან.

პირადი ნომრების შეგროვება

საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში განსაკუთრებით ხშირი იყო შემთხვევები, როცა საჯარო სამსახურების თანამშრომლებს სთხოვდნენ თავიანთი და დამატებით სამი ან მეტი ადამიანის პირადობის მოწმობების ასლების მიტანას. როგორც წესი, საჯარო მოხელეებს არ უმარტავდნენ, თუ რისთვის იყო საჭირო ეს ასლები. ზოგიერთ დაწესებულებაში აფრთხილებდნენ, რომ თუ ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდნენ, გარკვეული პრობლემები შეექმნებოდათ.

საპარლამენტო არჩევნების წინ საჯარო სამსახურებში მსგავსი დავალებების გაცემა ნაკლებად შეინიშნება (გარდა საჯარო სკოლებისა), თუმცა რამდენიმე რაიონში (ზუგდიდში, დუშეთში, ხულოში, კასპში, გურჯაანში, ქუთაისში, მცხეთაში, ხონში) ოჯახებში დადიან მმართველი პარტიის წარმომადგენლები (ისინი ასე აცნობენ მოქალაქეებს თავს) და ავსებენ ანკეტებს, სადაც იწერენ, თუ ვისთვის აპირებენ რესპონდენტები ხმის მიცემას საპარლამენტო არჩევნებში და ინიშნავენ მათი პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ნომრებს.

თბილისში, გურჯაანში და ფოთში კიდევ ერთი გზით ხდება პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ნომრების შეგროვება. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების ოჯახებს პატიმრის გათავისუფლებას ჰპირდებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერების ხელმოწერებს და მათ პირად ნომრებს შეაგროვებენ. გურჯაანის სოფელ ჭანდარის მცხოვრებს შვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას დაჰპირდნენ, თუ ის მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატის მხარდამჭერთა 100 კაციან სიას შეაგროვებდა. თბილისში ციხიდან ოჯახის წევრის გამოსახსნელად უფრო მეტ, 400-500 ხელმოწერას ითხოვდნენ. ფოთში ძებნაში მყოფი პირის ოჯახის წევრს დაჰპირდნენ, რომ თუ ის მხარდამჭერების სიას (ხელმოწერებს და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ნომრებს) შეაგროვებდა, ძებნას შეწყვეტდნენ.

პირადობის დამადასტურებელ ნომრებს აგროვებდნენ ეგრეთწოდებული სოციალური მუშაკებიც, რომლებიც, ხელისუფლების განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ იყვნენ მოკლე ვადით დაქირავებულები აღწერის ჩასატარებლად. ამ აღწერის ჩატარება მთავრობის 50 დღიანი პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა და ის მიზნად ისახავდა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბაზის განახლებას[12].

[12] სოციალურად დაუცველი ოჯახების პირველი ბაზა ახალმა ხელისუფლებამ 2006 წელს შეადგინა, მაშინ ბაზაში ოჯახების შეტანა ოჯახების პირადი განცხადებების საფუძველზე მოხდა. ნებისმიერ ოჯახს, რომელიც თვლიდა, რომ უკიდურესად გაჭირვებულთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა და ჰქონდა სურვილი, რომ ხელისუფლებისგან სოციალური დახმარება მიეღო, უნდა შეევსო სპეციალური ანკეტა და წარედგინა ის სოციალური დაცვის სააგენტოსთვის. ამის შემდეგ სააგენტოს წარმომადგენლები მიდიოდნენ შესაბამის ოჯახებში და დათვალიერებისა და სპეციალური კითხვარების საშუალებით ამოწმებდნენ მათ სოციალურ მდგომარეობას. ის ოჯახები, რომელთა მდგომარეობაც განსაკუთრებით მძიმე იყო (რაც შემოწმებით უნდა

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

სოციალური მუშაკები კარდაკარ დადიოდნენ და ოჯახის წევრების პირად მონაცემებს, დასაქმების შესახებ ინფორმაციას, პენსიონერების რაოდენობას და ოჯახის სოციალურ მდგომარეობას (შემოსავალს და გასავალს) აღწერდნენ. ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ აღწერა წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა. პირადობის დამდადასტურებელი მოწმობების ნომრების შეგროვებას, მართალია, განსხვავებული მექანიზმებით, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდშიც ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა, სოციალური მუშაკების ნაწილი ამბობდა, რომ ისინი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ იყვნენ დაქირავებულები, ნაწილის თქმით კი მათ ხელშეკრულებები გამგეობებთან ჰქონდათ გაფორმებული. არც ერთ მათგანს თან არ ჰქონდა რამე სახის ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დადასტურდებოდა, რომ ისინი სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები იყვნენ.

რამდენიმე ქალაქში, კერძოდ, ქუთაისში, რუსთავში, და ბათუმში, სოციალური მდგომარეობის აღწერის პარალელურად, სოციალური მუშაკები ოჯახის წევრების პოლიტიკური სიმპათიებითაც ინტერესდებოდნენ, თუმცა იმ ფორმებზე, სადაც ოჯახის წევრების ხელმოწერა ფიქსირდებოდა ეს ინფორმაცია არ აღინიშნებოდა.

მას შემდეგ, რაც სოციალურ მუშაკებთან დაკავშირებით საზოგადოებაში ეჭვები გაჩდნა და ამის შესახებ ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა, ჯანდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომ სოციალური აღწერა დროებით შეწყდებოდა და მხოლოდ არჩევნების შემდგომ პერიოდში განახლდებოდა, რათა გამორიცხულიყო ნებისმიერი სახის ეჭვები ამ ინიციატივასთან დაკავშირებით. განცხადების გამოქვეყნების შემდეგ სოციალური მუშაკების კარდაკარ სიარული მართლაც შეწყდა.

მედია რესურსები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული და კერძო მედია საშუალებების მიერ კონკრეტული პოლიტიკური ძალის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება, მედია სივრცის არათანაბარი განაწილება საარჩევნო სუბიექტებს შორის, წინასაარჩევნო კამპანიების მიკერძოებული გაშუქება

საზოგადოებრივი მაუწყებელი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგი[13] ცხადყოფს, რომ საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებელი ყველა სხვა ტელევიზიაზე მეტად იცავს თანასწორობის პრინციპს და ობიექტურობას. ის საარჩევნო სუბიექტებს მეტ-ნაკლებად თანაბარ დროს უთმობს და გარდა ამისა, სუბიექტური შეფასებების გარეშე აშუქებს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების სააგიტაციო შეხვედრებს და სხვა წინასაარჩევნო ღონისძიებებს[14].

დადასტურებულიყო), შეიტანებოდა სპეციალურ ბაზაში და მათზე ხელისუფლება გასცემდა სხვადასხვა სახის დახმარებებს.

[13] მედია მონიტორინგს "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" დაკვეთით ატარებს კვლევითი კომპანია "გორბი".

[14] დეტალური ინფორმაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მედია მონიტორინგის შედეგების შესახებ იხილეთ ცალკე ანგარიშში მედია მონიტორინგის შესახებ.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყოველ შაბათს პირდაპირ ეთერში გადის ახალი პროგრამა "მონიტორი", რომელშიც მონაწილეობას იღებენ ყველა საარჩევნო სუბიექტის პრეს-სპიკერები და მოწვეული ექსპერტები და ისინი აფასებენ, თუ რამდენად სრულად და ობიექტურად გააშუქა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სხვადასხვა პარტიების საარჩევნო ღონისძიებები გასული კვირის განმავლობაში. თავდაპირველად ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ პრეტენზიებს იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მმართველ პარტიას უფრო მეტ დროს უთმობდა და ოპოზიციური პარტიების ზოგიერთ წინასაარჩევნო ღონისძიებას არ აშუქებდა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში შეფასებები საგრძნობლად გაუმჯობესდა. შენიშვნები დარჩა მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ხშირად საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები 30 და 40 წუთით იგვიანებენ პრესკონფერენციებზე მისვლას. საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებმა ეს ხარვეზი ტექნიკური და ადამიანური რესურსების სიმწირით და საარჩევნო ღონისძიებების მაღალი ინტენსივობით განმარტეს.

იმედი

ტელეკომპანია იმედის დარბევა და დახურვა 2007 წლის ნოემბრის მოვლენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო. ტელეკომპანიის ხელახლა ამოქმედება მხოლოდ 2007 წლის 12 დეკემბერს გახდა შესაძლებელი. თუმცა ორი კვირის თავზე, 26 დეკემბერს იმედი დროებით ხელახლა დაიხურა, ამჯერად თანამშრომლების სურვილით. მათი გადაწყვეტილება ტელეკომპანიის მფლობელის, ბადრი პატარკაციშვილის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას უკავშირდებოდა. არჩევნების შემდგომ პერიოდში ტელეკომპანია ჩვეულ რეჟიმში უნდა დაბრუნებოდა ეთერს, თუმცა ის დღემდე არ ფუნქციონირებს.

2008 წლის 13 თებერვალს ბადრი პატარკაციშვილი ბრიტანეთში მოულოდნელად გარდაიცვალების შემდეგ ტელეკომპანია იმედის საკუთრებისათვის რამდენიმე პრეტენდენტი გამოჩნდა. პატარკაციშვილის ნათესავმა იოსებ კაკალაშვილმა (ჯოზეფ ქეი) წარმოადგინა დოკუმენტები, რომ იმედი მისი საკუთრება იყო და იქვე განაცხადა, რომ ის ტელეკომპანიის ეთერში დაბრუნებას გეგმავდა.

იმედის მაუწყებლობის განახლების თარიღად 25 მარტი დასახელდა. 26 მარტს ტელეკომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა ბიძინა ბარათაშვილმა განაცხადა, რომ იმედი 1 აპრილიდან დაიწყებდა მაუწყებლობას შეზღუდული ფორმატით, 10 აპრილიდან კი უკვე ახალი ამბებიც გადაიცემოდა. 1 აპრილს ტელეეკრანზე იმედის სიხშირეზე იმედის ლოგო გამოჩნდა, რომელსაც რადიო იმედის გადაცემების ხმა ახლდა.

პატარკაციშვილის მეუღლე და ოჯახი ქეის საქართველოს მთავრობასთან გარიგებაში ადანაშაულებენ. "იმედის" დასაბრუნებლად მათ სასამართლოში იჩივლეს. ამ ეტაპზე სასამართლო პროცესი არ დასრულებულა.

ტელეკომპანია "იმედმა" მაუწყებლობა აღადგინა, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ საცდელი გადაცემებით. საინფორმაციო გამოშვებები, სავარაუდოდ, მხოლოდ არჩევნების შემდეგ განახლდება.

მაესტრო

ტელეკომპანია „მაესტრო" მცირე ადგილობრივი ტელეკომპანიაა, რომელიც სატელიტის საშუალებით გადაიცემა თბილისში, რუსთავსა და გორში. არხს მუსიკალურ-გასართობი

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

მიმართულება და ლიცენზიაც შესაბამისი აქვს. 2007 წლის ნოემბერში არხმა გამოაცხადა, რომ იგეგმებოდა სამი ახალი შემეცნებითი პროგრამის – „პროფესია ჟურნალისტის", „უკომენტაროდ", და გამოკითხვის მომზადება და გაშვება.

28 ნოემბერს, პირველი შემეცნებითი გადაცემის დაწყების წინ არხი გაითიშა. არხის ხელმძღვანელმა მამუკა ღლონტმა განაცხადა, რომ ეს მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ახალი პროგრამების დაწყების შემდეგ განცხადების გაკეთების შემდეგ მას „მეგობრული რჩევა" მისცეს, რომ თავი შეეკავებინა. არხმა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა არხის გათიშვაში ხელისუფლება დაადანაშაულეს, თუმცა კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გათიშვაში რაიმე სახით მონაწილეობა უარყო და განაცხადა, რომ ეს სატელიტზე ხარვეზმა გამოიწვია. ტელეკომპანია მეორე დღეს, 29 ნოემბერს ჩაირთო და 30 ნოემბრიდან პროგრამების ტრანსლირებაც დაიწყო.

2008 წლის 20 მარტს ტელეკომპანიამ მარეგულირებლისაგან გაფრთხილების წერილი მიიღო, რომ მათი პროგრამები ლიცენზიას არ შეესაბამებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მაესტროს მარეგილირებლისათვის ახალი ლიცენზიის მისაღებად უკვე ნოემბრიდან ჰქონდა მიმართული. მარეგულირებელმა 8 აპრილს უარი ლიცენზიის შეცვლაზე ტელევიზიას უარი უთხრა იმ მოტივით, რომ „მაესტროს" უკვე გაფრთხილება ჰქონდა მიღებული.

„მაესტრო" მარეგულირებლის გადაწყვეტილებას სასამართლოში ასაჩივრებს. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე, 14 აპრილს მაესტრომ პარლამენტთან „პირაკრულთა" აქცია გამართა ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გასაპროტესტებლად. აქვე გამოცხადდა გადაწყვეტილება, რომ „მაესტროს" ეთერში გავიდოდა სამი სადავო გადაცემა მაინც გავიდოდა, მხოლოდ გამოსახულების სახით, ხოლო საუბრის ხმის ნაცვლად კლასიკური მუსიკა დაედებოდა.

ამჟამად „პროფესია ჟურნალისტი" სწორედ ამ ფორმატით გადის ეთერში. გადაცემების ხმა რადიო „უცნობის" საშუალებით გადაიცემა, ხოლო გადაცემების სრული ვერსიის ნახვა ტელეკომპანიის ვებ-გვერდის საშუალებითაა შესაძლებელი. ამგვარად, ტექნიკურად „მაესტრო" საკუთარი ლიცენზიის პირობებს არ არღვევს და არც შემეცნებით-პოლიტიკურ გადაცემებზე ამბობს უარს.

რუსთავი 2

ტელეკომპანიები „რუსთავი 2" და „მზე" ყველაზე ხშირად ხდებიან ოპოზიციის კრიტიკის საგანი. გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები ამ ტელეკომპანიებსა და მათ ჟურნალისტებს მიკერძოებულობასა და ხელისუფლების შეკვეთების შესრულებაში ღიად ადანაშაულებდნენ. 14 თებერვალს ლევან გაჩეჩილაძემ უარი განაცხადა ამ ორ კომპანიასთან თანამშრომლობაზე და მათ ჟურნალისტებს პრეს-კონფერენციის დატოვება მოსთხოვა. საპასუხოდ, 16 თებერვალს "რუსთავი 2"-მა გააკეთა განცხადება, რომ ისინი თავად ამბობდნენ უარს გაერთიანებულ ოპოზიციასა და პირადად ლევან გაჩეჩილაძესთან ურთიერთობაზე, თუ ისინი ბოდიშს არ მოიხდიდნენ ჟურნალისტების შეურაცხყოფისათვის.

ოპოზიციამ ბოიკოტი ამ კომპანიებს კიდევ ერთხელ, მიტინგზე გამოუცხადა 24 მარტს. 25 მარტს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციის საპროტესტო აქციის გაშუქებისას ორივე ტელეკომპანიის ჟურნალისტები გაუგებრობაში აღმოჩნდნენ, როცა აქციის მონაწილეთა ნაწილი ორად გაიყო - ნაწილი ჟურნალისტებს ტერიტორიის

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

დატოვებას სთხოვდა, ნაწილი ამის წინააღმდეგი იყო, თუმცა ცდილობდა „ეკონტროლებინათ" მათ მიერ გადაცემული ინფორმაციის ობიექტურობა. ჟურნალისტები ოპოზიციის ლიდერებმა გამოიყვანეს ხალხის მასიდან. ამ ინცინდენტის შემდეგ ტელეკომპანიები გაერთიანებული ოპოზიციის აქციებს და აქტივობებს გარკვეული პერიოდი არ ესწრებოდა და არც აშუქებდა.

25 აპრილს გაერთიანებულმა ოპოზიციამ პირველი უფასო პოლიტიკური რეკლამის ცირკულირება დაიწყო „რუსთავი 2"-ზე, სადაც აცხადებნენ რომ ამ არხზე მათ არ უშვებენ და ამომრჩევლებს/საზოგადოებას მოუწოდებნენ კავკასიასა და საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით მიეღოთ ინფორმაცია. ამ კლიპის პასუხად იმავე დღეს, საღამოს კურიერში გამოცხადდა „რუსთავი 2"-სა და "მზის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, ორშაბათიდან, 28 აპრილიდან ცალმხრივად აღედგინათ ურთიერთობა გაერთიანებულ ოპოზიციასთან. არხები ხაზს უსვამენ, რომ ამ გადაწყვეტილების მიზეზი მხოლოდ საზოგადოების სრულად ინფორმირების ვალდებულება და ის პასუხისმგებლობაა, რასაც მაყურებლის მიმართ გრძნობენ.

დაპირისპირების პარალელურად, „რუსთავი 2" ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრიბუნაცაა ოპოზიციისათვის. ეს გადაცემა „პრაიმ თაიმსს" შეეხება, რომელიც 2007 წლის დეკემბრის შუა პერიოდიდან ტელეკომპანიის ეთერში კვირაში ორჯერ გადაიცემა და რომელზეც ოპოზიციის ბოიკოტი არ გავრცელებულა. საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში გადაცემაში როგორც მთავრობის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას დებატებში. ამას გარდა, გადაცემაშივე იმართება არჩევნებში მონაწილე პარტიების პრეზენტაციები – მთელი გადაცემა ერთ პარტიას ან ბლოკს ეთმობა.

ამ დროისათვის პარტიების პროგრამების პრეზენტაციები ამ გადაცემის საშუალებით დასრულებულია. გადაცემაში მონაწილეობა მიიღო ყველა პარტიამ გარდა, „სპორტსემნთა კავშირის", „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია", „მემარჯვენე ალიანსი თოფაძე-მრეწველების" და "ჩვენი ქვეყნისა". როგორც „ჩვენი ქვეყნის" წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მათთვის გადაცემაში მონაწილეობა არ შეუთავაზებიათ. პარტიამ „მემარჯვენე ალიანსი თოფაძე-მრეწველების" კი თავად თქვეს გადაცემაში მონაწილეობაზე იმ მიზეზით, რომ მათ გადაცემაში მონაწილეობას საზიაროდ, სხვა პარტიასთან ერთად სთავაზობდნენ (გადაცემის ერთი ნაწილი დაეთმობოდა „მემარჯვენე ალიანს თოფაძე-მრეწველებს", ხოლო მეორე – სხვა პარტიას).

„რუსთავი 2"-ის ეთერში წინასაარჩევნო პერიოდში გადის კიდევ ორი ახალი გადაცემა: „უპასუხეთ ხალხს" და „სამკუთხედი". ორივე გადაცემაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და მათ ეძლევათ საშუალება, მაყურებლებს გააცნონ წინასაარჩევნო პროგრამები და საარჩევნო პროცესის შეფასებები.

მონიტორინგის შემდეგი ეტაპები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" კვლავ განაგრძობს წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების მონიტორინგს. მომდევნო (საბოლოო) ანგარიში გამოვლენილი დარღვევებისა და ხარვეზების შესახებ გამოქვეყნდება არჩევნების დასრულების შემდეგ.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ორგანიზაციის სათავო ოფისში ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა), დილის 10-დან საღამოს 6 საათამდე, ფუნქციონირებს უფასო ცხელი ხაზი (822 009 888), რომელზე დარეკვაც შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც ექნება სურვილი, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიაწოდოს ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული დარღვევების, კერძოდ, ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების შესახებ და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხის გარშემო. ორგანიზაცია გადაამოწმებს ცხელი ხაზით მიღებულ ინფორმაციას და დადასტურების შემთხვევაში, გამოვლენილ დარღვევებს ასახავს თავის ანგარიშში.

ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების მონიტორინგის გარდა საპარლამენტო არჩევნების წინ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" ასევე ახორციელებს მედია მონიტორინგს, ხოლო არჩევნების დღეს ის განახორციელებს კენჭისყრის და ხმის მიცემის პროცედურების მონიტორინგს წინასწარ საპატიმროებში და ქვემო ქართლის 150 საარჩევნო უბანში.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge